

კონტროლის ლოკუსის კავშირი ექიმების სამუშაოთი კმაყოფილებასთან
და სამსახურებრივ გარემოსთან

ლილე ბაწელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი
ნატა მეფარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლილე ბაწელაშვილი

22.06.2018

აბსტრაქტი

სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მუშაობის ხარისხი და პროდუქტიულობა მნიშვნელოვანია, რადგანაც მათი პრეროგატივაა პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამიტომაც აუცილებელია ექიმებს ჰქონდეთ სამუშაოთი კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი, რაც მათ მოტივაციასა და სამსახურში ჩართულობას უზრუნველყოფს. მოცემული კვლევა ეხმიანება სწორედ სამედიცინო სფეროს, კერძოდ კლინიკის გარემო-პირობებს, მასში მომუშავე ექიმების სამუშაო კმაყოფილებას და პიროვნების ბაზისურ მახასიათებელს - კონტროლის ლოკუსს. ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს, როგორც კორელაციური კავშირის დადგენა, აგრეთვე მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის გაკეთება ერთის მხრივ კონტროლის ლოკუსსა და სამუშაო კმაყოფილებაზე და მეორეს მხრივ სამსახურებრივ გარემოსა და აგრეთვე სამუშაო კმაყოფილების ფაქტორზე. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი. საკვლევ ინსტრუმენტებს წარმოადგენს ჯ. როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა და განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის სამუშაოთი კმაყოფილების კითხვარი, რომელიც კვლევის ფარგლებში სამედიცინო სფეროს სპეციფიკას არის მორგებული. კვლევაში ჩართულთა საერთო რაოდენობა არის 50 ექიმი, რომლებიც თბილისის ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკის - რესპუბლიკური საავადმყოფოს სხვადასხვა დარგში (თერაპია, გინეკოლოგია, ქირურგია, კარდიოლოგია, ნევროლოგია, ტრავმატოლოგია) მომუშავე სამედიცინო პერსონალს წარმოადგენს. კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ ექიმების უმრავლესობას აქვს შინაგანი კონტროლის ლოკუსი, თუმცა ზოგადად კონტროლის ლოკუსისა და სამუშაო კმაყოფილების კავშირი არ დადგინდა. სამუშაო კმაყოფილების თვალსაზრისით, აღმოჩნდა რომ ექიმების უმრავლესობა კმაყოფილია სამსახურით. რაც შეეხება სამსახურებრივ გარემო-პირობებს და კვლავ სამუშაო კმაყოფილებას, ამ მხრივ მათ შორის მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია დადასტურდა. უფრო მეტიც, მრავალმხრივი რეგრესიული ანალიზით დადგინდა, რომ სამსახურებრივი გარემო-პირობები არის სამუშაო კმაყოფილების პრედიქტორი, რაც ნიშნავს, რომ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი

კავშირი არსებობს. კერძოდ სამსახურებრივი გარემო პირობების დადებითი შეფასებასთან ერთად იზრდება სამუშაო კმაყოფილების მაჩვენებელიც. აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სამსახურებრივი გარემო გავლენას ახდენს თანამშრომლის სამუშაო კმაყოფილებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონტროლის შინაგანი და გარეგანი ლოკუსი, სამსახურებრივი გარემო-პირობები, სამუშაო კმაყოფილება

Abstract

The main prerogative of medical representative is to take care of patient's health, therefore the productivity and work quality in this field is an important issue. Based on this fact, it's necessary for doctors to have high rate of job satisfaction, which will provide them with motivation and more engagement in their work. This study reflects the medical field, namely the clinics environmental conditions, doctor's job satisfaction and person's basic character - Locus of Control. The main purpose of study is to ascertain the correlation and regression analysis on locus of control and job satisfaction, as well as on working environment and job satisfaction factors. Quantitative method is used in this study. The research is based on J. Rottery's Locus of Control scales and job satisfaction questionnaire of the National Center of Educational Quality Enhancement, adjusted to medical field specifics. A sample of 50 doctors with different medical experience (therapy, gynecology, surgery, cardiology, neurology, traumatology) were selected from Tbilisi Kipshidze Central University Clinic - Republican Hospital. In accordance with survey results, the majority of doctors have internal Locus of Control, though the correlation between general Locus of Control and job satisfaction has not been established. In terms of job satisfaction, it turned out that the majority of doctors are satisfied with their jobs. As a regard of working environmental conditions and job satisfaction, the significant positive correlation was defined between them. Moreover, multiple regression analysis determines that the environmental conditions can predict job satisfaction, this proves the existence of cause and effect connection between them. In particular, the employment satisfaction indicator increases with positive assessment of the official environmental conditions. According to the survey results, we can consider that employee's job satisfaction is affected by working environment.

Key words: Locus of control, Work environment, Job satisfaction